თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N7

ქ. თელავი 20.07.2022 წელი

თავმჯდომარეობდა: **ზურაბ ლილუაშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **უჩა ჭოტიაშვილი; თამარ ხატიაშვილი; ოთარი ესიტაშვილი; გივი ლაფაური; მამუკა ბურდიაშვილი; გიორგი ხაჭაპურიძე; გიგი გიგიტელაშვილი; რუსუდან იმერლიშვილი; ნინო ომანიძე; იმედა კევლიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:; დეპუტატი - **მიხეილ დაღუნდარიძე;** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლია ფარსადანიშვილი;** საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უმცროსი სპეციალისტი - **ნინო ასანაშვილი;** საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნიკოლოზ ესიტაშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნათია ვაყელიშვილი;** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი - **ლიკა ალადაშვილი.** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **დავით ქსოვრელიშვილი;**

თავმჯდომარემ კომისიის სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა დღის წესრიგი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი
   თანამომხსენებელი - ნ. ვაყელიშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხსენებელი - ზ. ლილუაშვილი
   თანამომხსენებელი - ლ. ალადაშვილი

<u>მოისმინეს</u>: 1. თელავის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის N03 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> ზ. ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ ნორმატიული პროექტის მიხედვით მთავარ საფინანსო დოკუმენტში ცვლილებების ძირითადი მოტივია სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოს განსახორციელებლად. მათ შორის, ენერგოეფექტური სკამების შეძენის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსების, მონტაჟის და საზედამხედველო მომსახურებისთვის. ასევე მონუმენტი „შენ ხარ ვენახის“ აღდგენის, რეაბილიტაციისა და მონტაჟისთვის, საბავშვო ბიბლიოთეკის შენობის სრული რეაბილიტაციის სამუშაოებისა და საზედამხედველო მომსახურებისთვის თანხების მობილიზება. თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განისაზღვროს 72861,13 ათასი ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს- **ნ. ვაყელიშვილს.**

მან განმარტა, რომ მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის შემოსულობებში: შემცირდეს გრანტის მუხლი, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი 87,791 ათასი ლარით, გამოყოფილი თანხების დაზუსტების მიზნით; გაიზარდოს პროცენტებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 500,0 ათასი ლარით, გაიზარდოს სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 145,28 ათასი ლარით და ჯარიმების, სანქციები და საურავებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა 362,1 ათასი ლარით 2022 წლის 6 თვის განმავლობაში მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე მოხდეს ცვლილება ბიუჯეტის გადასახდელებში: შემცირდეს: გზების კაპიტალური შეკეთების (კოდი 02 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 85,652 ათასი ლარით, ბინათმშენებლობის ღონისძიებების(კოდი 02 05) სხვა ხარჯების მუხლი 2,139 ათასი ლარით გამოყოფილი თანხის დაზუსტების მიზნით. გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია/მოწყობის (კოდი 02 06 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 20,9 ათასი ლარით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობის სამუშაოების (კოდი 06 02 01) საქონელი და მომსახურების მუხლი 30,0 ათასი ლარით, სრიგპ-ის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ღონისძიებების (კოდი 06 02 03) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 106,0 ათასი ლარით. ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის (კოდი 05 03 02) საქონელი და მომსახურების მუხლი 50,0 ათასი ლარით. წარმოქმნილი ეკონომიების გათვალისწინებით.

გაიზარდოს: ჩამდინარე წყლების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ღონისძიებების (კოდი 02 02 03) საქონელი და მომსახურების მუხლი 150,0 ათასი ლარით. სკოლამდელი განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 04 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 56,0 ათასი ლარით. სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 01 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 170,0 ათასი ლარით. კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის (კოდი 05 02 02) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 396,0 ლარით. დასვენების ღონისძიებების ხელშეწყობის (კოდი 05 06) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 331,9 ათასი ლარით, ძეგლთა დაცვის ღონისძიებების (კოდი 05 05) საქონელი და მომსახურების მუხლი 54,0 ათასი ლარით და

გაიზარდოს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი „დაბახნების წყაროს“-ს რეაბილიტაციის და კეთილმოწყობის სამუშაოების შესასრულებლად.

ასევე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ქვპროგრამაზე, სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების ან/და მედიკამენტების დაფინანსების ქვპროგრამაზე და ონკოლოგიურ პაციენტთა დაფინანსების ქვპროგრამაზე მოქალაქეთა მაღალი მომართვიანობის გამო, მოხდეს ცვლილება ქვპროგრამებს შორის. სულ 117,0 ათასი ლარით დაფინანსდეს სამედიცინო მომსახურების, ონკოლოგიურ პაციენტთა და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების ან/და მედიკამენტებით დახმარების ქვეპროგრამები.

გ. გიგიტელაშვილმა განაცხადა, რომ მთლიანობაში წარმოდგენილ ცვლილებას მხარს უჭერს, მაგრამ არ ეთანხმება მხოლოდ ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის, საქონელი და მომსახურების მუხლში თანხის შემცირებას. მას განუმარტეს, რომ არსებულ მუხლში თანხის შემცირება არ ნიშნავს იმას რომ, ახალგაზრდული ინიციატივები აღარ დაფინანსდება. პირიქით, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა ყოველთვის პრიორიტეტული იქნება მუნიციპალიტეტისთვის.

წარმოდგენილ ცვლილებას. კომისიის ყველა წევრმა მხარი დაუჭირა.

<u>**გადაწყვიტეს:**</u> ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

<u>**მოისმინეს**</u>: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვეს:**</u> ზ. ლილუაშვილმა ზოგადად ისაუბრა წარმოდგენილ ცვლილებასთან დაკავშირებით და განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის, ძეგლთა დაცვის განყოფილების უფროსს - **ლ. ალადაშვილს.**

მან აღნიშნა, რომ პროგრამაში ცვლილების შეტანა უკავშირდება სხვადასხვა სახის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამუშაოების შესყიდვის გაუქმებას და გამოთავისუფლებული თანხით „დაბახნების წყაროს“ რეაბილიტაცია და კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებასა და “კისისხევის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვას.

გამოთავისუფლებული თანხით განხორციელდეს, როგორც „დაბახნების წყაროს რეაბილიტაცია და კეთილმოწყობის სამუშაოები“, რომლის ღირებულებაა 109 000 (ასცხრა ათასი) ლარი, ასევე 2 000 (ორი ათასი) ლარით გაიზარდოს „კისისხევის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების“ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვის ღირებულება.

პროექტის განხორციელებისთვის თანხა გამოთავისუფლდა „ადამაანთ ციხის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისთვის გათვალისწინებული თანხიდან - 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი, „ქალაქ თელავში არსებული ისტორიული კარები და კარიბჭეების“ საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვის თანხიდან - 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი, „ფსიტის ციხე და მიმდებარე ტერიტორიის“ კვლევითი, სადაზვერვო - არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვის თანხიდან - 30 500 (ოცდაათი ათას ხუთასი) ლარი, „პატარა გორი“-ს სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვის თანხიდან - 25 500 (ოცდახუთი ათას ხუთასი) ლარი, სულ ღირებულებით 111 000 (ასთერთმეტი ათასი) ლარი.

დეპუტატების კითხვაზე - აქამდე არსებული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამუშაოების შესყიდვის გაუქმება ხომ არ გამოიწვევს მთლიანად პროგრამის გაუქმებას - ლ. ალადაშვილმა უპასუხა, რომ პროექტები პრიორიტეტულია და აუცილებლად განხორციელდება.

ცვლილების პროექტს დეპუტატების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია ნ. ომანიძეს.

<u>გადაწყვიტეს:</u> ცვლილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე ზ. ლილუაშვილი